

27/02/2026



MES 9 26 0000238670

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 19 თებერვალს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89178168943>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ანა არაშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლექტ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში–ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ნათიამ ჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვალერი ჯაჯანიძე

ლია ხარებავა

ქეთევან ჯანელიძე

ნანა ქობალია

ბიძინა გაფრინდაშვილი

ქეთევან ჯანელიძე

ზაირა ბერიძე

თინათინ მეფარიშვილი

თამარ ძველაია

ტიტე ბოლქვაძე

გიორგი ევგენიძე

ზაზა პაპიძე

ნინო გორგოშაძე

ირმა ღარიბაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლექტი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ზურაბ ომხნელი

დირექტორის მოადგილე - გიორგი წიქარიშვილი
ადამიანური რესურსებისა და რეესტრის მენეჯერი - მარიკა გალოგრე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ლანა გაჩეჩილაძე
სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერი - თამუნა მურდულია
საწარმოო დეპარტამენტის მენეჯერი - თინათინ მუმლაძე
იურისტი - ანუკი ოსეფაშვილი

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი - მურაზ დევამე
მართვისა და განვითარების ცენტრის უფროსი - ლიკა ქათამაძე
პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი - გოჩა გოგიტიძე
სასწავლო სამეცნიერო ცენტრის უფროსი - გულად თხილაიშვილი
განათლების ხარისხის სამსახურის უფროსი - რომან მამულაძე
განათლების ხარისხის სამსახურის პროფესიული პროგრამების მენეჯერი - ირინა ინჭკირველი
პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა ბერიძე
ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსი - ანა ჩიჩუა
ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო კვარაცხელია
საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ქრისტინე სალუქვაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2025 წლის 24 ნოემბრის MES 5 250001668372 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი“ - ს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12-15 იანვარს მისამართზე: ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. No68.

ვიზიტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა „ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება,

კოლეჯის შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.1.1 რეკომენდებულია პროგრამებში „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“, „ვიდეომონტაჟი“, „ვიდეო საოპერატორო ხელოვნება“ და „ტელერეჟისურა“, მოდულების „უსაფრთხოების დაცვა“, „პირადი, შრომის და პროფესიული უსაფრთხოება“ და „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელება პროგრამის საწყის ეტაპზე დაიწყოს, აღნიშნული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე მიღწევის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე;

3.2.1.4 მიზანშეწონილია, რომ კლუბის „პარაშუტი“ ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტები წარდგენილი იყოს კოლეჯის დირექტორის სახელზე მომზადებული განცხადების სახით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 06 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანხმადაც კოლეჯი იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

პირველი სტანდარტის მიმოხილვა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი წარმოადგენს პროფესიულ სასწავლო დაწესებულებას, რომელიც არსებობს აუდიოვიზუალური მიმართულების დარგებისთვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. კოლეჯი ემსახურება პროფესიული სტუდენტების და მსმენელების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერასა და ღია საზოგადოებაში ინტეგრაციას. კოლეჯის მიზანია საერთაშორისო ცნობადობის მოპოვება და მნიშვნელოვან აუდიოვიზუალურ პროექტებში პერმანენტული ჩართულობა. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამქომედო გეგმები, მათი შესრულების შუალედური ანგარიშები და ანალიზი; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ითვალისწინებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარებისა და უკუკავშირის გათვალისწინების ასპექტებს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა ძირითადი შვიდწლიანი გეგმის სტრატეგიული მიზნებიდან; დაწესებულების ხედვა: 2033 წლისთვის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი უნდა იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოთხოვნადი სასწავლო დაწესებულება.

მესამე სტანდარტის მიმოხილვა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელევიზიის კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კანონით განსაზღვრული უფლებებისა და გარანტიების დაცვას. სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერი სწავლის დაწყებისთანავე ატარებს გაცნობით შეხვედრებს სტუდენტების ადაპტაციის მიზნით. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მიზნებზე პროგრამაზე, შეფასების სისტემაზე, მათ უფლებებსა და მხარდაჭერის სერვისებზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“-თ უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების პროცედურები. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნულ მექანიზმებზე კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში, ასევე, თითოეული მოდულის ფარგლებში განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“-ს შესაბამისად, კოლეჯი მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში რიცხავს აპლიკანტებს და აფორმებს ხელშეკრულებას სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ხოლო სტუდენტი მონაწილეობს მის შედგენაში სათათბირო ხმის უფლებით. გეგმის შედგენის პროცესი კოლეჯში სრულად შეესაბამება როგორც კანონმდებლობას, ასევე კოლეჯის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს. პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კოლეჯის ადმინისტრაცია სტუდენტთა საჭიროების მიხედვით აორგანიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ან პროფესიულ მასწავლებელთან საკონსულტაციო შეხვედრებს. კოლეჯში ახალი პროფესიული სტუდენტების ადაპტაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, რომელიც ატარებს გაცნობით შეხვედრებს ადმინისტრაციისა და პროგრამის წარმომადგენლების მონაწილეობით. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კოლეჯის მისიის, წესების, სერვისებისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების, საქმისწარმოების ერთიანი წესისა და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის, დიპლომის თუ ცნობის გაცემა, შიდა თუ გარე მოხილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება გონივრულ ვადებში.

კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას რესურსების გამოყოფით. კოლეჯში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბი „პარაშუტი“, რომლის ფარგლებში განხორციელდა სტუდენტების მიერ შეიმუშავებული რამდენიმე ათეული პროექტი. კლუბ „პარაშუტის“ მიერ განხორციელებული პროექტების ადმინისტრირების პროცესის კიდევ უფრო გამარტივებისა და სტრუქტურირების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯს შესთავაზა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ კლუბის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტები წარდგენილი იყოს კოლეჯის დირექტორის სახელზე მომზადებული განცხადების სახით. კოლეჯი სისტემატურად აგროვებს სტუდენტთა უკუკავშირს და მის საფუძველზე აუმჯობესებს სერვისებსა და სასწავლო პროცესს.

კარიერულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია, PR და საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფს პროგრამების პოპულარიზაციას, ხოლო პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის, ექსტრაკურსულური და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი ეხმარება სტუდენტებს კარიერის დაგეგმვაში, ვაკანსიების მოძიებასა და სტაჟირებაში.

კოლეჯს აქვს დახურული სოციალური ქსელის ჯგუფები პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებისთვის, სადაც კოორდინატორი პერმანენტულად აცნობს მათ სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების, ვაკანსიებისა და პროფორიენტაციის შესახებ ინფორმაციას.

კოლეჯი პერიოდულად სწავლობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და შრომის ბაზრის ტენდენციებს, რითაც აუმჯობესებს არსებულ პრაქტიკასა და სასწავლო პროგრამებს. 2023 წლის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულთა 95% დასაქმებულია, მათგან 91% – შესაბამის პროფესიაში. 2024–2025 წლებში ჩატარებული კვლევით დასტურდება, რომ კურსდამთავრებულთა 50–80% დასაქმებულია პროგრამის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე კოლეჯმა დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, კერძოდ, კურსდამთავრებულთა მიერ კვლევაში დაფიქსირებული შენიშვნები კოლეჯმა ჩარჩო დოკუმენტების ცვლილების ინიცირებისას გამოიყენა. ასევე, დამსაქმებელთან, საზოგადოებრივ მაუწყებელთან კომუნიკაციით შემუშავდა და ხორციელდება დეფიციტური კადრების მოსამზადებლად 4 მომზადების პროგრამა.

მეოთხე სტანდარტის მიმოხილვა

კოლეჯში „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“ დოკუმენტით მკაფიოდ განსაზღვრულია ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა და შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას.

კოლეჯის სტრუქტურა მოიცავს სამ ძირითად ერთეულს: სასწავლო დეპარტამენტს, საწარმოო დეპარტამენტს და ადმინისტრაციას. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და შედეგების ხარისხის უზრუნველყოფაზე, მისი მონიტორინგისა და შეფასების ორგანიზებაზე, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ანგარიშების მომზადებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. კოლეჯში პერსონალის მართვა რეგულირდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით, შინაგანაწესით და თანამშრომელთა სამსახურში მიღების, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის და საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად. პერსონალის შერჩევის პროცესი, სრულად შეესაბამება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. კოლეჯში მართვის პროცესები დაფუძნებულია მონაწილეობითა და გუნდურ მუშაობაზე: სტრატეგიული გეგმების, სამოქმედო გეგმებისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება ხორციელდება სამუშაო ჯგუფების მონაწილეობით. კოლეჯში თანამშრომელთა შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კოლეჯში პერსონალის პროფესიული განვითარება ემყარება შეფასების შედეგებს და წლიურ სამოქმედო გეგმას. კოლეჯი აქტიურად არის ჩართული მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროცესში, რისთვისაც, გეგმავს ტრენინგებს, მასტერკლასებს, ვორქშოპებს, უზრუნველყოფს ინდივიდუალურ კონსულტაციებს. კოლეჯში ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ხდება ადამიანური რესურსებისა და რეესტრის მენეჯერის ხელმძღვანელობით. პროცესი უზრუნველყოფს წვდომას საჭირო დოკუმენტაციაზე, ხელმძღვანელებთან და სამუშაო გარემოსთან გაცნობას, სამუშაო აღწერილობასა და შინაგანაწესის გაცნობას. საჭიროების შემთხვევაში – დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვას. კოლეჯში პერსონალის წახალისების სისტემა მრავალმხრივია და მხარს უჭერს პროფესიულ განვითარებასა და ინიციატივებს. შიდა კარიერული ზრდა, ტრენინგები, ვორქშოპები, საგანმანათლებლო ღონისძიებები და არაფინანსური/ფინანსური წახალისება (მადლობის სიგელები, პრემია) ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას, პროფესიულ განვითარებას და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მეხუთე სტანდარტის მიმოხილვა

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-რესურსით ავტორიზაციის ვადით; კოლეჯს 2018 წლის 15 მაისიდან უვადოდ უსასყიდლო სარგებლობაში აქვს ქ. თბილისში, უზნაძის №68- ში მდებარე 530.85მ2 სასწავლო ფართი, შენობა-ნაგებობა №1-ის IV სართულზე. დაწესებულება 2018 წლის 6 სექტემბრიდან სერვიტუტის ხელშეკრულებით სარგებლობს შენობის კიბის უჯრედით 4-ვე სართულზე და

მეოთხე სართულზე კოლეჯის კარამდე მიმავალი დერეფნით. ფოიე და მრავალფუნქციური პავილიონი სასწავლო პროცესისგან თავისუფალ დროს გამოიყენება არაფორმალური აქტივობებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები; დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვთ უწყვეტი განათება და ვენტილაცია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; ყველა სასწავლო ფართს და სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული ადგილებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ყველა პირობას ქმნის, როგორც საგანმანათლებლო ისე ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის; მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; პსდ-ში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი; დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას; კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამებ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს; პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას და საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით; პსდ-ში დანერგილია და მოქმედებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი. იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

მეორე (პროგრამული) სტანდარტის ზოგადი მიმოხილვა

ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება შესაბამისი რეგულაციის მიხედვით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება არაა შეცდომაში შემყვანი და შესაბამისობაში მოდის პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია მოქმედი

საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე, დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი - მათ შორის თანამდეროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლ დანიშნულების მქონე ელექტრონული საშუალებები და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი (1 მოდულზე მინიმუმ 2 განმხორციელებელი). სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სწავლების თანამდეროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, უსაფრთხო სასწავლო გარემოს პრინციპების გათვალისწინებით, რაც საბოლოოდ ქმნის მყარ საფუძველს რეავტორიზაციით წარმოდგენილი ყველა პროგრამა მაღალი ხარისხით განხორციელდეს. დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების ვერიფიკაციის მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები აღირიცხება და ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება“,

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების

საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად; ჰსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების ჰსდ-ში მოქმედი მექანიზმით

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; ჰსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; ჰსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრის საჭიროებებზე; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; ჰსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ჰსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

თეორიული სწავლებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების განხორციელება ხდება „A“, „B“ და „C“ ტიპის კეთილმოწყობილ და ტექნიკურად გამართულ სასწავლო გარემოებში რომლებიც აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ტექნიკით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, უწყვეტი ინტერნეტითა და პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას. პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის კოლეჯი იყენებს „C“ ტიპის სასწავლო გარემოებს, რომლებიც სპეციალურად არის მორგებული აუდიოვიზუალური პროდუქციის შექმნის პროცესზე. აღნიშნული სივრცეები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ ვიდეოგადაღების, მრავალკამერიანი სატელევიზიო სისტემების გამოყენების, ხმის ჩაწერისა და გადაღების პროცესის ორგანიზების პრაქტიკული უნარების განვითარებას შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვით. პრაქტიკული სწავლების გარემო გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

კოლეჯში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის „C“ სასწავლო გარემოები, მათ შორის: „C1“ – ხმის ჩამწერი და სამონტაჟო სივრცე; „C2“ – სიმულაციური სატელევიზიო საინფორმაციო სტუდია; „C3“ – მულტიფუნქციური ინტერიერული სივრცე პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის;

„C4“ – იმიტირებული სატელევიზიო სტუდია „პარაშუტი“; ასევე ექსტერიერიული და რეალური საწარმოო სივრცეები („C5“ და „C6“) გასვლითი პრაქტიკული სამუშაოებისთვის. კოლეჯის სივრცეში ფაქტობრივად მოწყობილია „C1“, „C2“, „C3“ და „C4“ გარემოები.

„A“ ტიპის სასწავლო გარემო ერთ ცვლაში საშუალოდ დატვირთულია 15–20%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების თითქმის ექვსმაგი რაოდენობა. კოლეჯს აქვს ორი „A“ ტიპის სასწავლო გარემო („A1“ და „A2“), თითოეული 15 სტუდენტის სამუშაო ადგილით, ასევე 45 ადამიანზე გათვლილი შეხვედრების დარბაზი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოიყენება როგორც „A“ სასწავლო გარემო.

„B“ ტიპის სასწავლო გარემო დატვირთულია დაახლოებით 15–17%-ით. კოლეჯს აქვს სამი „B“ ტიპის სასწავლო გარემო („B1“, „B2“ და „B3“), თითოეული 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით, რაც უზრუნველყოფს სივრცეების საკმარისობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვიდეომონტაჟი

ინდიკატორი 2.1.1.8.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიდეომონტაჟი“ მოიცავს მოდულს „უსაფრთხოების დაცვის“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 76-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. აღნიშნული მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ ძირითად კომპეტენციებს, როგორებიცაა უსაფრთხო ელექტრო მოწყობილობების გამოყენება, ეროვნომიული სამუშაო გარემოს მნიშვნელობა, თვალის დაცვის მიზნით პერიოდული შესვენებების

აუცილებლობა, კომპიუტერის ეკრანის სწორი პარამეტრების დაცვა, სამუშაოს ხანგრძლივობის შეზღუდვის მიზეზები, სამუშაო ადგილის განათების ოპტიმალური პირობები, ტექნიკური ინსტრუქციების დაცვა, პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება, მონაცემთა სარეზერვო ასლების შექმნის საჭიროება და ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების პირობები. აღნიშნული თემატიკა უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას, განსაკუთრებით კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის პირობებში. ამდენად, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ ეტაპებზე განთავსება, რაც სტუდენტებს თავიდანვე ჩამოუყალიბებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პრაქტიკის საფუძვლებს.

მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ უსაფრთხოების წესების სისტემატურ დაცვას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეამცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს (თვალის გადაღლა, არასწორი სამუშაო პოზა, ტექნიკური შეცდომები) და გააძლიერებს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა დაცვის მიმართ.

შესაბამისად, სასურველია განიხილოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის დასაწყისში ან საწყის ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობა, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას და შექმნის უსაფრთხო სწავლების სტაბილურ საფუძველს პროგრამის ყველა ეტაპზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიდეომონტაჟი“ მოიცავს მოდულს „ინფორმაციული წიგნიერება“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 67-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორებიცაა ოპერაციული სისტემის ინსტრუმენტების გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება, ტექსტურ რედაქტორებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და პრეზენტაციის პროგრამებთან მუშაობა, ელექტრონული კომუნიკაცია, ონლაინ საცავების გამოყენება, მონაცემთა უსაფრთხოება, საავტორო უფლებებისა და კონფიდენციალობის დაცვა.

აღნიშნული კომპეტენციები უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული მოდულების განხორციელებისას, მათ შორის ვიდეოგადაღების, ვიდეომონტაჟის, გრაფიკული ელემენტების დამუშავებისა და პროფესიული კომუნიკაციის პროცესში. შესაბამისად, ინფორმაციული წიგნიერების ელემენტები რეალურად წარმოადგენს სხვა მოდულების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობას.

ამ კონტექსტში, მიზანშეწონილად შეიძლება ჩათვალოს „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ სასწავლო ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობის განხილვა. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობდა სტუდენტების მიერ საბაზისო ციფრული კომპეტენციების დროულად განვითარებას, გაამარტივებდა შემდგომ მოდულებზე მუშაობას და გაზრდიდა სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას.

მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება შექმნიდა საფუძველს ინფორმაციის ეფექტიანი მართვის, ციფრული ინსტრუმენტების უსაფრთხო გამოყენებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ეტაპობრივი გაძლიერებისთვის, რაც დადებითად აისახებოდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე მთლიანად.

შესაბამისად, რეკომენდებულია განიხილოს „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის პროგრამის დასაწყისში ან საწყის სემესტრებში გადანაცვლების შესაძლებლობა, როგორც სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გაძლიერების ერთ-ერთი შესაძლო მიმართულება.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის პროფილის შესაბამისი განათლება, დარგობრივი კომპეტენცია და მრავალწლიანი პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. იგი 2015 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ტელეკომპანიებში მონტაჟის/გამოშვების რეჟისორად, მათ შორის: „იბერია“, „ფორმულა“, „BBB ფროდაქშენი“. 2018 წლიდან დღემდე იგი დასაქმებულია მონტაჟის რეჟისორად საზოგადოებრივ მაუწყებელში. პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში დაცულია სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი შესაბამისი ცნობები. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია: დაიცვას უსაფრთხოება; გააკეთოს საინფორმაციო სიუჟეტის და ინტერვიუს ვიდეო მონტაჟი; დაამონტაჟოს სატელევიზიო ფილმები და პუბლიცისტური გადაცემები; დაამონტაჟოს მრავალკამერიანი სატელევიზიო სისტემით გადაღებული ვიდეო; გამოიყენოს ხმოვანი რიგი ტელენაწარმოებში; დაამონტაჟოს თრეილერი; განვითარდეს პროფესიულად. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 6 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე; 3 მასწავლებელი ახორციელებს ქართული ენის მოდულებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა"

ინდიკატორი 2.1.1.8.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“ მოიცავს მოდულს „უსაფრთხოების დაცვა“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 76-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. აღნიშნული მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ ძირითად კომპეტენციებს, როგორებიცაა უსაფრთხო ელექტრო მოწყობილობების გამოყენება, ერგონომიული სამუშაო გარემოს მნიშვნელობა, თვალის დაცვის მიზნით პერიოდული შესვენებების აუცილებლობა, კომპიუტერის ეკრანის სწორი პარამეტრების დაცვა, სამუშაოს ხანგრძლივობის შეზღუდვის მიზეზები, სამუშაო ადგილის განათების ოპტიმალური პირობები, ტექნიკური ინსტრუქციების დაცვა, პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება, მონაცემთა სარეზერვო ასლების შექმნის საჭიროება და ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების პირობები.

აღნიშნული თემატიკა უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული მოდულების

განხორციელებისას, განსაკუთრებით კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის პირობებში. ამდენად, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ ეტაპებზე განთავსება, რაც სტუდენტებს თავიდანვე ჩამოუყალიბებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პრაქტიკის საფუძვლებს.

მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ უსაფრთხოების წესების სისტემატურ დაცვას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეამცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს (თვალის გადაღლა, არასწორი სამუშაო პოზა, ტექნიკური შეცდომები) და გააძლიერებს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა დაცვის მიმართ.

შესაბამისად, სასურველია განიხილოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის დასაწყისში ან საწყის ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობა, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას და შექმნის უსაფრთხო სწავლების სტაბილურ საფუძველს პროგრამის ყველა ეტაპზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“ მოიცავს მოდულს „ინფორმაციული წიგნიერება“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 67-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორებიცაა ოპერაციული სისტემის ინსტრუმენტების გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება, ტექსტურ რედაქტორებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და პრეზენტაციის პროგრამებთან მუშაობა, ელექტრონული კომუნიკაცია, ონლაინ საცავების გამოყენება, მონაცემთა უსაფრთხოება, საავტორო უფლებებისა და კონფიდენციალობის დაცვა.

აღნიშნული კომპეტენციები უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული მოდულების განხორციელებისას, მათ შორის ვიდეოგადაღების, ვიდეომონტაჟის, გრაფიკული ელემენტების დამუშავებისა და პროფესიული კომუნიკაციის პროცესში. შესაბამისად, ინფორმაციული წიგნიერების ელემენტები რეალურად წარმოადგენს სხვა მოდულების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობას.

ამ კონტექსტში, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ სასწავლო ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობის განხილვა. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობდა სტუდენტების მიერ საბაზისო ციფრული კომპეტენციების დროულად განვითარებას, გაამარტივებდა შემდგომ მოდულებზე მუშაობას და გაზრდიდა სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას.

მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება შექმნიდა საფუძველს ინფორმაციის ეფექტიანი მართვის, ციფრული ინსტრუმენტების უსაფრთხო გამოყენებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ეტაპობრივი გაძლიერებისთვის, რაც დადებითად აისახებოდა პროგრამი განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე მთლიანად.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის პროფილის შესაბამისი განათლება, დარგობრივი კომპეტენცია და მრავალწლიანი პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. იგი 1992 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ტელეკომპანიებში, მათ შორის: „იბერვიზია“, „მეორე არხი“, „იბერია“, „იმედი“, „მზე“ და „პიკი“. 2013 წლიდან დღემდე იგი დასაქმებულია დიზაინერ-გრაფიკოსის პოზიციაზე საზოგადოებრივ მაუწყებელში. პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში დაცულია სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი შესაბამისი ცნობები. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებულს

შეუძლია: შექმნას სტატისტიკური გამოსახულება და დაამუშაოს გრაფიკულად; შექმნას მოძრავი გამოსახულება და დაამუშაოს გრაფიკულად; შექმნას გამოსახულება სამგანზომილებიანი გრაფიკის პროგრამაში; უზრუნველყოს სატელევიზიო პროდუქცია კომპიუტერული გრაფიკით; განვითარდეს პროფესიულად; დაიცვას უსაფრთხოება. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 6

მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე; 3 მასწავლებელი ახორციელებს ქართული ენის მოდულებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“ მოიცავს მოდულს „უსაფრთხოების დაცვა“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 76-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. აღნიშნული მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ ძირითად კომპეტენციებს, როგორებიცაა უსაფრთხო ელექტრო მოწყობილობების გამოყენება, ერგონომიული სამუშაო გარემოს მნიშვნელობა, თვალის დაცვის მიზნით პერიოდული შესვენებების აუცილებლობა, კომპიუტერის ეკრანის სწორი პარამეტრების დაცვა, სამუშაოს ხანგრძლივობის შეზღუდვის მიზეზები, სამუშაო ადგილის განათების ოპტიმალური პირობები, ტექნიკური ინსტრუქციების დაცვა, პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება, მონაცემთა სარეზერვუასლების შექმნის საჭიროება და ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების პირობები.

აღნიშნული თემატიკა უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას, განსაკუთრებით კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის პირობებში. ამდენად, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ ეტაპებზე განთავსება, რაც სტუდენტებს თავიდანვე ჩამოუყალიბებს უსაფრთხო დაჯანსაღი სამუშაო პრაქტიკის საფუძვლებს.

მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ უსაფრთხოების წესების სისტემატურ დაცვას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეამცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს (თვალის გადაღლა, არასწორი სამუშაო პოზა, ტექნიკური შეცდომები) და გააძლიერებს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა დაცვის მიმართ. შესაბამისად, სასურველია განიხილოს „უსაფრთხოების დაცვის“ მოდულის პროგრამის დასაწყისში ან საწყის ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობა, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას და შექმნის უსაფრთხო სწავლების სტაბილურ საფუძველს პროგრამის ყველა ეტაპზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“ მოიცავს მოდულს „ინფორმაციული წიგნიერება“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის 67-ე კვირიდან, პრაქტიკულად პროგრამის დასრულების ეტაპზე. მოდულის შინაარსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორებიცაა ოპერაციული სისტემის ინსტრუმენტების გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება, ტექსტურ რედაქტორებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და პრეზენტაციის პროგრამებთან მუშაობა, ელექტრონულ კომუნიკაცია, ონლაინ საცავების გამოყენება, მონაცემთა უსაფრთხოება, საავტორო უფლებებისა და კონფიდენციალობის დაცვა.

აღნიშნული კომპეტენციები უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობას და აქტიურად გამოიყენება პროგრამის პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული მოდულების განხორციელებისას, მათ შორის ვიდეოგადაღების, ვიდეომონტაჟის, გრაფიკული ელემენტების დამუშავებისა და პროფესიული კომუნიკაციის პროცესში. შესაბამისად, ინფორმაციული წიგნიერების ელემენტები რეალურად წარმოადგენს სხვა მოდულების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობას.

ამ კონტექსტში, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის პროგრამის საწყის ეტაპზე ან ადრეულ სასწავლო ბლოკში ინტეგრირების შესაძლებლობის განხილვა. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობდა სტუდენტების მიერ საბაზისო ციფრული კომპეტენციების დროულად განვითარებას, გაამარტივებდა შემდგომ მოდულებზე მუშაობას და გაზრდიდა სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას. მოდულის ადრეულ ეტაპზე განხორციელება შექმნიდა საფუძველს ინფორმაციის ეფექტიან

მართვის, ციფრული ინსტრუმენტების უსაფრთხო გამოყენებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ეტაპობრივი გაძლიერებისთვის, რაც დადებითად აისახებოდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე მთლიანად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტელერეჟისურა“

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის პროფილის შესაბამისი განათლება, დარგობრივი კომპეტენცია და მრავალწლიანი პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის თეატრალური ხელოვნების აკადემია ტელერეჟისურის სპეციალობით. 2005 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ტელეკომპანიებში/სტუდიებში, მათ შორის: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; „TBC TV -სტუდია“, კომპანია „ქართული ტელეფილმი“ და სხვა . 2005 წლიდან დღემდე იგი დასაქმებულია ტელერეჟისორად საზოგადოებრივ მაუწყებელში. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია:

შექმნას სატელევიზიო პროექტი; გააკეთოს სატელევიზიო ფილმების და პუბლიცისტური გადაცემების რეჟისურა; მართოს სატელევიზიო გადაცემა მრავალკამერიანი სისტემით; გააკეთოს თრეილერის რეჟისურა; განვითარდეს პროფესიულად; დაიცვას პირადი, შრომის და პროფესიული უსაფრთხოება. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 6 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე; 3 მასწავლებელი ახორციელებს ქართული ენის მოდულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვევი არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 1**).

მეორე საკითხი: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს წევრს, გოჩა გოგიტიძეს, ჰქონდა თვითაცილება სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა სხდომის დაწყებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის MES 1 25 0001645085 ბრძანების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ქ. ბათუმის ლოკაციაზე 2025 წლის 15, 16, 17 დეკემბერს და ქ. ფოთის ლოკაციაზე 2025 წლის 18, 19, 20 დეკემბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა; სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ინდიკატორი 5.2.3.1.

ექსპერტებმა საუკეთესო გამოცდილების მაგალითად გამოარჩიეს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 3D ვირტუალურ ტურები, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ

ვებგვერდზე (https://bsma.edu.ge/media/files/3d_bsma/). აღნიშნული ინოვაციური რესურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, პოტენციურ მსმენელებს, დამსაქმებლებსა და პარტნიორებს ადვილად და ვირტუალურად დაათვალიერონ აკადემიის სასწავლო, ლაბორატორიული და მხარდაჭერის სივრცეები.

ვირტუალური ტურები დიდ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ასპექტებით:

·ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა – ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ონლაინ გაეცნოს აკადემიის ინფრასტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამების არჩევისას.

·პრაქტიკური ორიენტაცია – ვიზიტორებისთვის ნათლადაა წარმოდგენილი სწავლების გარემო, ადმინისტრაციული სივრცეები, ლაბორატორიები და მხარდაჭერის მოედნები, რაც აუმჯობესებს ინფორმირებულობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

·ინოვაციური კომუნიკაცია – 3D ტურები წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომის დანერგვას საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ასახავს აკადემიის მზადყოფნას და წინსვლას ციფრულ ტრანსფორმაციაში.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 3D ვირტუალური ტურების დანერგვა ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების კულტურის, ისე სტუდენტთა ჩართულობის და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მთლიანად ეხმარება ავტორიზაციის სტანდარტების პრინციპებს და ინოვაციურ მიდგომებს.

კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1.3სდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად და ფუნქციურად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და ქმნის მკაფიო სტრატეგიულ ჩარჩოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. აკადემიის ხედვა – ჩამოყალიბდეს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში – ასახავს პროფესიული განათლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით.

აკადემიის მისია პირდაპირ უკავშირდება პროფესიული განათლების მიზნებს, ვინაიდან ის ითვალისწინებს პრაქტიკულ უნარებზე, პროფესიულ კომპეტენციებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას საზღვაო და მომიჯნავე დარგებში. მისიის ფარგლებში ხაზგასმულია პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების აღზრდა, რომლებიც ფლობენ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და უწყვეტი განვითარების უნარებს, რაც სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ამოცანებთან.

აკადემიის მიერ დეკლარირებული ღირებულებები – ღირსება, ცოდნა და გამოცდილება – პროფესიული განათლების არსობრივ პრინციპებს ასახავს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის პრაქტიკულ, ეთიკურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროცესის სტუდენტზე ორიენტირება, ცოდნისა და უნარების განვითარება, სწავლების ხელმისაწვდომობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ინოვაციებზე ორიენტაცია და ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სრულფასოვან პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას.

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ყველა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება რეგულარულად, სისტემურად და მკაფიოდ განსაზღვრული, გაზომვადი ინდიკატორების საფუძველზე, PDCA ციკლის სრული დაცვით.

მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული, დოკუმენტირებული და უზრუნველყოფს გადახრების იდენტიფიცირებასა და მაკორექტირებელ მოქმედებებს. დაგეგმილი აქტივობების შესრულება ექვემდებარება მუდმივ ანალიზს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება სამოქმედო გეგმების კორექტირება და ადაპტირება.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას. ყველა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრულფასოვან მხარდაჭერას როგორც აკადემიური პროგრესის, ისე ადმინისტრაციული, ადაპტაციური და არაფორმალური აქტივობების მიმართულებით.

სტუდენტები იღებენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო მხარდაჭერას პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან, რაც რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (№01-142, 21.07.2025) და პრაქტიკაში დასტურდება ინტერვიუების შედეგებით.

სწავლის დაწყების ეტაპზე უზრუნველყოფილია სტუდენტთა ადაპტაცია — საინფორმაციო ტურები, გზამკვლევი, კორპორატიული ელფოსტა, კომუნიკაციის არხებზე წვდომა და შიდა დოკუმენტაციის გაცნობა.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ ვადაში, ხოლო ცნობები გაიცემა 2 სამუშაო დღეში. სტუდენტთა შეფასებით, სერვისი არის ოპერატიული და ეფექტიანი.

აკადემია აქტიურად ახალისებს არაფორმალურ და სტუდენტურ ინიციატივებს — საერთაშორისო ფესტივალები, ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებები, დასაქმების ფორუმები. 2024–2025 წლებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 109-ს.

სტუდენტთა უკუკავშირი სისტემურად გროვდება და გამოიყენება სერვისების გაუმჯობესებისთვის. კმაყოფილების მაჩვენებლები წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობას როგორც არსებული, ისე პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

აკადემიაში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს კონსულტირებას, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის მომზადების ტრენინგებს, კარიერული განათლების კურსს (36 საათი), ეფექტური კომუნიკაციისა და თვითპრეზენტაციის უნარების განვითარებას, ასევე პროფორიენტაციულ შეხვედრებსა და გაცნობით ტურებს ბენეფიციარ სკოლებთან თანამშრომლობის ფარგლებში. მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება დადასტურდა ინტერვიუებით.

დასაქმების შესაძლებლობების შესახებ განახლებული ინფორმაცია სისტემურად მიეწოდებათ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ელექტრონული კომუნიკაციის არხებითა და დამსაქმებლებთან შეხვედრების ფორმატში. შენარჩუნებულია აქტიური თანამშრომლობა საზღვაო სექტორთან და დასაქმების სააგენტოებთან.

აკადემია ყოველწლიურად ატარებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაძლიერებლად. კვლევის მონაცემები გაზიარებულია ლოკაციებს შორის და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ნაწილს.

კარიერული მომსახურების კვლევის შედეგები გამოიყენება მომსახურების გაუმჯობესებისთვის — საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამული შინაარსის, პრაქტიკული კომპონენტის, პარტნიორული ქსელისა და კომუნიკაციის არხების გადახედვა.

ადამიანური რესურსები

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (როგორც ბათუმის, ისე ფოთის ლოკაციაზე) მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა დოკუმენტურად გაწერილია, ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ გამიჯნულია და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ, ორგანიზებულ და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

სტრუქტურული ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება მიზანმიმართულია და ხელს უწყობს სწავლების ორგანიზებას, პროგრამების მართვას, ხარისხის უზრუნველყოფას, ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას.

პროფესიული მომზადების ცენტრების სტრუქტურა ორივე ლოკაციაზე შეესაბამება მათი საქმიანობის მასშტაბსა და სპეციფიკას და უზრუნველყოფს კოორდინირებულ მუშაობას.

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია ორგანიზებულია დამოუკიდებლად და ფუნქციურად გამიჯნულად, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის რისკს. უფლებამოსილებები,

ანგარიშვალდებულება და შეფასების პროცედურები განსაზღვრულია დოკუმენტურად და ეფუძნება მტკიცებულებებზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (ორივე ლოკაციაზე) პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის ჩარჩო განსაზღვრულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და პროცედურით“, შინაგანაწესით და პერსონალის შეფასების პროცედურებით, რაც უზრუნველყოფს მართვის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პერსონალის შერჩევა ეფუძნება პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და, დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ხორციელდება ობიექტურობისა და დოკუმენტური გადამოწმების პრინციპებით.

პირადი საქმეების შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; წარმოდგენილი დიპლომები/სერტიფიკატები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაკისრებულ ფუნქციებთან.

ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს — გადაწყვეტილებები განიხილება კოლექტიურ ფორმატში, ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფები და უზრუნველყოფილია გამოცდილების გაზიარება ლოკაციებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პროცესში აკადემიამ ოპერატიულად გაასწორა შინაგანაწესში ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებული ჩანაწერი და დააკორექტირა შრომითი ხელშეკრულებების რიგი ელემენტები (სამუშაო/დასვენების დრო, სხვადასხვა სამუშაო ადგილი), რაც ადასტურებს ექსპერტთა რეკომენდაციებზე სწრაფ და გააზრებულ რეაგირებას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

IT რისკების მართვა

IT რისკების მართვა ხორციელდება სისტემურად ორივე ლოკაციაზე.

მოქმედი დოკუმენტები: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“

„რისკების მართვის პროცედურა“; „რისკების შემცირების წლიური გეგმა“; შემუშავებულია რისკების რეესტრი, რომელიც მოიცავს ყველა სტრუქტურულ ერთეულს. რეესტრი ექვემდებარება პერიოდულ განახლებას. უზრუნველყოფილია საფრთხეების იდენტიფიცირება, შეფასება და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა. უზრუნველყოფილია პროცესების უწყვეტობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად. მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა და პროცედურა“. უზრუნველყოფილია მონაცემთა: ლეგიტიმური მიზნებით დამუშავება სუბიექტის თანხმობაზე დაფუძნებული გამოყენება უსაფრთხო შენახვა და დაცვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საქმიანობს დამოუკიდებლად. უზრუნველყოფილია პერსონალის რეგულარული ინფორმირება და გადამზადება.

IT სისტემის ეფექტიანობის შეფასება და IT ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა

დაწესებულებაში მოქმედებს „მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა“. განსაზღვრულია შეფასების პერიოდულობა, კრიტერიუმები, პასუხისმგებელი პირები. IT სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთობლივად აფასებენ ინფრასტრუქტურის ადეკვატურობას. ხდება უკუკავშირის სისტემური შეგროვება

სტუდენტებისა და პერსონალისგან. რეგულარულად მიმდინარეობს აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოფილია სრულფასოვანი IT ინფრასტრუქტურა. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს ხელმისაწვდომია:

ბიბლიოთეკის კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, მომსახურება უზრუნველყოფილია უწყვეტად. გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის მრავალარხიანი სისტემა: კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, ერთიანი ელ.ფოსტის ბაზები, დახურული ჯგუფები და ჩატები სოციალურ ქსელში, მექანიზმის ეფექტიანობა დადასტურებულია: პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური უზრუნველყოფა მხრივ აღინიშნა, რომ წარმოდგენილია საერთო და ორივე ლოკაციის პროგრამული ბიუჯეტები. ბიუჯეტი უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნებისა და პროგრამების განხორციელებას. გათვალისწინებულია პროგრამების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა. ყოველწლიურად დგება ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა ფინანსური მართვის სამსახურის მიერ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოფილია სტაბილური ფინანსური რესურსი, რაც წარმოადგენს ინსტიტუციური მდგრადობის გარანტს. აღნიშნული რესურსით სრულად ფინანსდება პერსონალი, ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროცესი, ადმინისტრირება და უსაფრთხოება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ გარემოებას, რომ პროფესიული პროგრამები ფინანსდება ვაუჩერული წესით, ხოლო პროცესების ეფექტურობის შესასწავლად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს დაფინანსების დინამიკის ანალიზი.

ქეთევან ჯანელიძემ ისაუბრა ფინანსური მდგრადობის შეფასების კრიტერიუმებზე, სადაც განმარტა, რომ ფინანსური ანგარიშგება საჯაროა და კანონმდებლობასთან შესაბამისი, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მაღალ სანდოობას. მართვის ეფექტური მოდელის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება ანალიზი, პროგნოზირება და რისკების შეფასება, რაც საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს შესაძლო გამოწვევები. ქეთევან ჯანელიძის განცხადებით, ბიუჯეტის შესრულება რეგულარულად წარედგინება სენატს, ხოლო ფინანსური კონტროლის მიზნით ტარდება ყოველწლიური სახელმწიფო გარე აუდიტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აუდიტის შედეგები ინტეგრირებულია სტრატეგიულ გეგმაში, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან განვითარებასა და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა შეფასებაზე რეაგირების მექანიზმებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ბიუჯეტის მუდმივი მონიტორინგი. სისტემური მიდგომის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება კორექტირება, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერ ცვლილებაზე ოპერატიულ ადაპტაციას. საბჭოს წარედგინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილია დროული და სისტემური რეაგირება, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მყარ საფუძველს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო გამართულობისთვის.

ხაზი გაესვა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულ თანხვედრაშია პსდ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება გარანტიას იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადგენილ ვადებში მისაღწევად. ამასთანავე, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები ქმნის მყარ საფუძველს სწავლის შედეგების ეფექტური რეალიზაციისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი სახელწოდება ზუსტად შეესაბამება შინაარსს, რაც გამორიცხავს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას და უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღინიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია დაწესებულების, სასწავლო საწარმოს ან პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას განაპირობებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ოპტიმალური რაოდენობა და მათი დატვირთვის გონივრული განაწილება. თითოეულ მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია სწავლის შედეგების გამომუშავებისა და ობიექტური შეფასების კუთხით, ხოლო თავად პროგრამას ხელმძღვანელობს პსდ-ს მიერ შერჩეული, დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ელექტრონული სახით, ისე მატერიალურად დაწესებულების ბიბლიოთეკაში. ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, უზრუნველყოფილია სსსმ პირთა სრული წვდომა ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. მოხსენების დასასრულს დადასტურდა, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სტაბილურობასა და გრძელვადიან მდგრადობას, რაც წარმოადგენს ხარისხიანი განათლების მიწოდების აუცილებელ წინაპირობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საწყობის ოპერირება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირება“ ხორციელდება ქალაქ ბათუმსა და ქალაქ ფოთში. პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და მიზნად ისახავს საწყობის ოპერირებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას, სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0416. ორივე ლოკაციაზე სწავლება წარიმართება ქართულ ენაზე, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ეფექტურ სინთეზს.

ბათუმის შემთხვევაში, პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბრის No.05-141 ბრძანების საფუძველზე და მისი განხორციელების მისამართია ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქუჩა N53. ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმა ითვალისწინებს 90 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 120 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 პირით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, საიდანაც 7 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 7 — დარგობრივ მოდულებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერისას აღინიშნა, რომ სასწავლო გარემო მოიცავს A და B ტიპის აუდიტორიებს (N3002 და N3007), რომლებიც აღჭურვილია 20 ერთეული პერსონალური კომპიუტერით, სადაც ინსტალირებულია ტვირთების გადაზიდვების მართვის სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამა.

პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად ბათუმის პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ, შპს „სუბტროპიკთან“ და შპს „ნოვასთან“, რომელთაგან თითოეულს აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა ცვლაში ერთდროულად მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. ქეთევან ჯანელიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ მოდულებზე, რომლებიც ამ გარემოში განხორციელდება, როგორცაა საქონლის დასაწყობება (ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფის სწავლის შედეგით), საქონლის აგროვება და საწყობში საქონლის ტრანსპორტირება, რაც მოიცავს როგორც შიდა ტრანსპორტირებისთვის მომზადებას, ისე უშუალოდ ტრანსპორტირების პროცესს.

რაც შეეხება ქალაქ ფოთში პროგრამის განხორციელებას, იგი ეფუძნება 2025 წლის 26 სექტემბრის No.07-93 ბრძანებას და ლოკაციად განსაზღვრულია წმინდა გიორგის ქუჩა N24. ამ შემთხვევაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პირს, რაც გადანაწილდება ორ 20-კაციან ჯგუფზე, მათთვის კი გამოყოფილია A, B და C სასწავლო გარემო. პროგრამის განმახორციელებელი გუნდი შედგება 9 მასწავლებლისგან, რომელთაგან 4 ზოგად მოდულებზეა პასუხისმგებელი, ხოლო 5 — დარგობრივზე. კრედიტების რაოდენობა ბათუმის ანალოგიურია და შეადგენს 90-ს ქართულენოვანი და 120-ს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

მოხსენების დასასრულს ექსპერტმა ჩამოთვალა ის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც ფოთში უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას რეალურ სამუშაო გარემოში. ესენია შპს „ექსპრესს ტრანს - შიპმენტ სერვისეზ“, შპს „სოფმარი“, შპს „ტრანს ექსპედიცია ფოთი“ და შპს „ჯა ლოჯისტიკა“. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, ექსპერტმა დაასკვნა, რომ ორივე ქალაქში პროგრამის განხორციელებისათვის მომზადებულია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რაც სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებსა და დარგის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ტვირთების ექსპედიცია“

პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0413. პროგრამა ორიენტირებულია საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე ტვირთების ექსპედიტირებაში და ორივე ქალაქში, ბათუმსა და ფოთში, სწავლება წარიმართება ქართულ ენაზე, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით.

ქალაქ ბათუმში პროგრამის განხორციელება ეფუძნება 2025 წლის 26 სექტემბრის No.05-141 ბრძანებას და მისი ლოკაციაა რუსთაველის ქუჩა N53. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ

ბათუმის პროგრამისთვის არის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 პასუხისმგებელია ზოგად მოდულებზე, ხოლო 10 — დარგობრივ მოდულებზე. სასწავლო პროცესი წარმართება სამ სპეციალიზებულ გარემოში: A გარემო (აუდიტორია N3005), B გარემო (აუდიტორია N3007) და დამატებითი B გარემო (აუდიტორია N321). სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ბათუმში განსაზღვრულია 20 პირით, ხოლო კრედიტების მოცულობა შეადგენს 90-ს ქართულენოვანი და 120-ს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად ჩართულია შპს „ელ ეი ემ შიფინგ ეჯენსიზ“ და შპს „ნოვა“, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად 20 სტუდენტის მიღება. ამ ობიექტებზე მიიღწევა ისეთი კრიტიკული სწავლის შედეგები, როგორცაა სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება, გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პროცესის საერთო მენეჯმენტი.

ქალაქ ფოთში პროგრამის განხორციელება რეგულირდება 2025 წლის 26 სექტემბრის No.07-93 ბრძანებით, მისამართზე წმინდა გიორგის ქუჩა N24. აქ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პირს, რაც ორ 20-კაციან ჯგუფზეა გათვლილი. პროგრამის განმახორციელებელი გუნდი ფოთში შედგება 9 მასწავლებლისგან, სადაც 4 ზოგად, ხოლო 5 დარგობრივ მოდულებს უძღვება. სასწავლო ინფრასტრუქტურა მოიცავს A და C გარემოებს (აუდიტორია 102) და B სასწავლო გარემოს. ფოთში პარტნიორ ორგანიზაციათა წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს შპს „ჯი ეს ჯი ფრეთ ფორვარდინგს“, შპს „სოფმარს“, შპს „ტრანს ექსპედიცია ფოთს“, შპს „ჯალოჯისტიკას“, შპს „ექსპრესს ტრანს - შიპმენტ სერვისებს“ და შპს „ნიუ ტრანს გრუპს“. ეს პარტნიორები უშუალოდ მონაწილეობენ „გადაზიდვის პროცესების ორგანიზებისა“ და „ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობის“ მოდულების რეალიზაციაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“

პროგრამის დასახელებაა „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0413). აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბრის No.07-93 ბრძანებით. სასწავლო ენა არის ქართული. მდებარეობა ქალაქ ფოთში, წმინდა გიორგის ქუჩა N24-ში მდებარე ობიექტზე. პროგრამის განხორციელების ფორმად განსაზღვრულია სწავლება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, სწავლების ფორმის მიხედვით, შეადგენს 30 ადამიანს, ხოლო ბათუმის შემთხვევაში - რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 13 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განსახორციელებლები არის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან: 5 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; ხოლო 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი დარგობრივ მოდულებს. ბათუმში კი პროგრამის განსახორციელებელია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან: 6 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი დარგობრივ მოდულებს.

რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას არანინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა მოიცავს 51 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია 81-ით.

ფოთში არის 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო A - აუდიტორია N307: B - აუდიტორია N310 (კომპიუტერები უზრუნველყოფილია ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) C სასწავლო გარემო / იმიტირებული სივრცე.

ბატუმში არსებული გარემოებია: A გარემო, AC გარემო - სამედიცინო კაბინეტი და სახანძრო სიმულატორი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას; B გარემო 3007 და

321 უზრუნველყოფილია კომპიუტერებით აღჭურვილი 20 სამუშაო ადგილით, პროექტორით, მულტიფუნქციური პრინტერით და მასწავლებლის სამუშაო ადგილით. სივრცეები უზრუნველყოფილია უწყვეტი კავშირით ინტერნეტთან; C გარემო - აკადემიის საწყობი. იმიტირებული გარემო; C გარემო - აკადემიის სასწავლო გემი CADET-იმიტირებული გარემო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ელექტრობა“

პროგრამა სახელწოდებით „ელექტრობა“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ელექტრობაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0713). პროგრამის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 2025 წლის 26 სექტემბრის ბრძანება No.05-141. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N53-ში მდებარე სასწავლო კორპუსში.

სასწავლო პროცესი დაგეგმილია კოოპერაციული მოდელით, რაც გულისხმობს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 15 ადგილით. არანინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა შეადგენს 70-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 100 კრედიტს.

პროგრამის საგანმანათლებლო რესურსს უზრუნველყოფს 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 19 პედაგოგი პასუხისმგებელია დარგობრივ მოდულებზე. სასწავლო გარემო სრულად არის ადაპტირებული 20 პროფესიულ სტუდენტზე და მოიცავს A გარემოს (აუდიტორია N3002) და B გარემოს (აუდიტორია N3007). ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია 20 ერთეული კომპიუტერი, რომლებიც უზრუნველყოფილია ტვირთების გადაზიდვების მართვის სპეციალიზებული პროგრამით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ ობიექტებზე — შპს „სუბტროპიკსა“ და შპს „ნოვას“ ბაზაზე. თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა, სხვადასხვა ცვლაში ერთდროულად მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ისეთ მოდულებსა და სწავლის შედეგებს, როგორცაა: საქონლის დასაწყობება (ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა), საქონლის აგროვება და საწყობში საქონლის ტრანსპორტირება (შიდა ტრანსპორტირებისთვის მომზადება და უშუალოდ ტრანსპორტირების პროცესი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბაჟო საქმე“

პროგრამა „საბაჟო საქმე“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საბაჟო საქმეში. აღნიშნული პროგრამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 2025 წლის 26 სექტემბრის ბრძანება No.07-93, სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1032, ხოლო სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული. სასწავლო პროცესი წარმართება ქალაქ ფოთში, წმინდა გიორგის ქუჩა N24-ში მდებარე ბაზაზე.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 5 პედაგოგი - დარგობრივ მოდულებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად არის მორგებული 45 პროფესიულ სტუდენტზე და მოიცავს ორ A სასწავლო გარემოს (აუდიტორიები 301 და 306) და ორ B სასწავლო გარემოს (აუდიტორიები 309 და 310), ასევე შესაბამის პრაქტიკის ობიექტებს. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული მოდელით, რაც გულისხმობს პროცესის წარმართვას რეალურ სამუშაო გარემოში.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 45 ადგილს. რაც შეეხება კრედიტების განაწილებას არანინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია 93 კრედიტი, ხოლო

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა 123 კრედიტითაა განსაზღვრული.

პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება მრავალფეროვან პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებსაც აქვთ სტუდენტთა მიღების შემდეგი შესაძლებლობები: „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“, „შემოსავლების სამსახური“, „სოფმარი“ და შპს „ჯა ლოჯისტიკა“ - თითოეული მათგანი ერთდროულად მასპინძლობს 10 სტუდენტს, ხოლო შპს „ჯირჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“ მზად არის 5 სტუდენტის მისაღებად. პრაქტიკის ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორცაა გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0712). აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბრის No.07-93 ბრძანებით. სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული, ხოლო განხორციელების ადგილს წარმოადგენს ქალაქი ფოთი, წმინდა გიორგის ქუჩა N24.

სასწავლო პროცესი წარიმართება კოოპერაციული მოდელით, რაც გულისხმობს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 60 ადგილით, რაც ითვალისწინებს 20-სტუდენტიან ჯგუფებად დაყოფას. კრედიტების მოცულობა არანინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში შეადგენს 120 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 150 კრედიტს.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 მასწავლებელი პასუხისმგებელია ზოგად მოდულებზე, ხოლო 10 მასწავლებელი — დარგობრივ მოდულებზე. სასწავლო ინფრასტრუქტურა მოიცავს სტუდენტებზე გათვლილ A და B ტიპის სასწავლო გარემოებს, ხოლო პრაქტიკული კომპონენტების ეფექტურად განხორციელების მიზნით, აკადემიაში დამატებით ორგანიზებულია C ტიპის სასწავლო გარემო.

აკადემიის პარტნიორი კომპანიები, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ მომზადებას გაივლიან, არიან: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, „შავი ზღვის ტერმინალი“, „სოფმარი“, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“, „კავკასიან მეტალს ტერმინალი“, ქალაქ ფოთის მერია და „ლამნალკო“. თითოეულ მათგანთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“

საგანმანათლებლო პროგრამა „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1041). აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბრის No.07-93 ბრძანებით და მისი განხორციელების ენად განსაზღვრულია ქართული. სასწავლო პროცესი წარიმართება ქალაქ ფოთში, წმინდა გიორგის ქუჩა N24-ში მდებარე ბაზაზე.

